ევროპის საბჭო

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი
მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი
(CPT)

CPT/Inf(2002)15-part

საპოლიციო პატიმრობასთან დაკავშირებული კომიტეტის სტანდარტების განვითარება

ამონაწერი მე-2 საერთო ანგარიშიდან,
გამოქვეყნდა 1992 წელს

33. საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლიციას ჰქონდეს უფლება, დაიჭიროს, დროებით დააკავოს და დაკითხოს სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი ან სხვა კატეგორიის პირები. თუმცა, ამ უფლებას, იმთავითვე თან ახლავს მუქარისა და ფიზიკური წამების რისკი. CPT-ს მუშაობის არსია, იპოვოს გზები ამ რისკის აბსოლუტურ მინიმუმამდე შესამცირებლად ისე, რომ ზედმეტად ხელი არ შეუშალოს პოლიციას მისი მოვალეობების სათანადო შესრულებაში. ბევრ ქვეყანაში შემჩნეულია წინსვლა საპოლიციო პატიმრობასთან მიმართებით, თუმცა, CPT-ს მონაცემები აგრეთვე ხშირად გახაზავს მომავალში სიფხიზლის აუცილებლობას.

34. დანაშაულში ეჭვმიტანილის დაკითხვა განსაკუთრებული ამოცანაა, რომლის სათანადოდ ჩასატარებლად საჭიროა სპეციფიკური ტრენინგები. პირველ რიგში, ამგვარი დაკითხვის ზუსტი მიზანი უნდა იყოს ზედმიწევნით ცხადი: დაკითხვის მიზანია სწორი და სანდო ინფორმაციის მოპოვება იმისათვის, რომ გამოირკვეს სიმართლე გამოძიებისათვის საინტერესო საკითხებზე. დაკითხვის მიზანი არამც და არამც არ არის აღიარების მოპოვება ამა თუ იმ ეჭვმიტანილის მხრიდან, რომელსაც დამნაშავედ მიიჩნევს თანამშრომელი, ვინც დაკითხვას აწარმოებს. შესაბამისი ტრენინგის უზრუნველყოფის გარდა, სამართალდამცავთა მხრიდან ზემოაღნიშნული მიზნის ზედმიწევნით შესრულებას დიდად შეუწყობს ხელს ეჭვმიტანილთა დაკითხვის ეთიკის კოდექსის შემუშავება.

35. წლების მანძილზე CPT-ს დელეგაციები საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში საკმაოდ ბევრი თავისუფლებააღკვეთილი პირი დარწმუნებით აცხადებს, რომ ისინი პოლიციის თანამშრომლებმა აწამეს, ან სხვა ფორმით არაადამიანურად მოეპყრნენ ან ღირსება შეულახეს ცდილობდნენ რა, მათგან აღიარებითი ჩვენების მოპოვებას დაკითხვის დროს. სავსებით ცხადია, რომ სისხლის სამართლის სისტემა, რომელიც ძალიან აფასებს აღიარებით ჩვენებას, სტიმულს აძლევს სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებაში ჩართულ თანამშრომლებს, რომ ამგვარი შედეგის მისაღებად გამოიყენონ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა. წამებისა და არასათანადო მოპყრობის აღკვეთის კონტექსტში, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს

დანაშაულის გამოძიების მეთოდების შემუშავებას, რაც საშუალებას მოგვცემს შევამციროთ აღიარებაზე მინდობის, ასევე დაკითხვისას ფაქტებისა და ინფორმაციის მოპოვების შემთხვევები, რათა ბრალდებულად ცნობა იყოს უტყუარი.

36. პოლიციასთან საუბრის ელექტრონული ჩაწერა (მაგ.: აუდიო და/ან ვიდეო) თავისუფლებააღკვეთილ პირთა დამატებითი, მნიშვნელოვანი დაცვაა არასათანადო მოპყრობისაგან. CPT კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სულ უფრო ბევრ ქვეყანაში განიხილება ამგვარი სისტემების შემოღების საკითხი. ასეთ მოწყობილობას შეუძლია უზრუნველყოს ინტერვიუს სრული და ავთენტური ჩაწერა, რითაც დიდად შეუწყობს ხელს არასათანადო მოპყრობისა ან სხვა სახის დარღვევის გამოძიებას. ეს ორმხრივად საინტერესოა:Lიმ პირისთვისაც, ვის მიმართაც განხორციელდა არასათანადო მოპყრობა პოლიციის მხრიდან და პოლიციის თანამშრომელთათვისაც, რომლებიც აწყდებიან ხოლმე დაუსაბუთებელ ბრალდებას, თითქოსდა ისინი არასაათანადოდ მოეპყრნენ ან ფსიქოლიგიური წნეხის ქვეშ მოაქციეს ვინმე. პოლიციასთან საუბრების ელექტრონული ჩაწერა ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ ბრალდებულმა მოგვიანებით უარყოს თავისი აღიარება.

37. CPT-ს არაერთხელ და არა ერთ ქვეყანაში აღმოუჩენია ფრიად შემაშფოთებელი სახის დაკითხვის ოთახები: მაგალითად, ოთახები შიგნიდან შეღებილია შავ ფერად და აღჭურვილია პროჟექტორებით, რომლებიც დასაკითხი პირის სკამისაკენ არის მიმართული. ამ ტიპის საშუალებათა ადგილი პოლიციის სამსახურებში არ არის.

იმის გარდა, რომ დაკითხვის ოთახი უნდა იყოს შესაბამისად განათებული, გათბობისა და ვენტილაციის სისტემებით აღჭურვილი, ასევე დაკითხვის პროცესის ყველა მონაწილე უნდა იჯდეს მსგავსი სტილის კომფორტულ სკამებზე. თანამშრომელი, რომელიც დაკითხვას უძღვება, არ უნდა იჯდეს დომინანტურ პოზიციაში (მაგ., შემაღლებულზე) ან მოშორებით, ეჭვმიტანილის პირისპირ. გარდა ამისა, ფერები უნდა იყოს ნეიტრალური.

38. ზოგიერთ ქვეყანაში CPT წააწყდა საპოლიციო დაპატიმრებისას პირისათვის თვალების ახვევის პრაქტიკას, კერძოდ, დაკითხვის პროცესში. CPT-ს დელეგაციამ სხვადასხვა და, უმეტეს შემთხვევაში, ურთიერთგამომრიცხავი განმარტებები მიიღო პოლიციის თანამშრომელთაგან ამ პრაქტიკის დანიშნულების შესახებ. წლების მანძილზე შეგროვებული ინფორმაციიდან CPT-თვის ცხადია, რომ ბევრ, თუ არა უმეტეს, შემთხვევაში ადამიანებს თვალებს უხვევენ იმისათვის, რომ ვერ შეძლონ იმ სამართალდამცავთა ამოცნობა, ვინც მათ წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობა განახორციელა. იმ შემთხვევებშიც კი, როცა არ განხორციელებულა ფიზიკური არასათანადო მოპყრობა, ადამიანისათვის – კერძოდ, ადამიანისათვის, რომლის დაკითხვაც მიმდინარეობს – თვალების ახვევა არის დამრთგუნავი, რისი შედეგიც გაუტოლდება ფსიქოლოგიურ არასათანადო მოპყრობას. CPT იძლევა რეკომენდაციას, რომ საპოლიციო დაპატიმრებისას ადამიანისათვის თვალების ახვევა ერთმნიშვნელოვნად აიკრძალოს.

39. CPT-თვის არცთუ უჩვეულოა პოლიციის შენობებში საეჭვო ნივთების აღმოჩენა, როგორიცაა ხის ჯოხები, ხელკეტები, ბეისბოლის ბიტები, ლითონის ჯოხები, მსხვილი ელექტროკაბელის ნაკუწები, ცეცხლსასროლი იარაღის მოდელები ან დანები. ასეთი ნივთების არსებობა ერთზე მეტ შემთხვევაში ადასტურებს CPT-ს დელეგაციების მიერ

მიღებულ განცხადებებს, რომ ადამიანებს დაწესებულებებში არასათანადოდ ეპყრობოდნენ ან სცემდნენ ამ ტიპის ნივთებით.

პოლიციის თანამშრომლები, უმთავრესად, იმით ხსნიან ასეთი ნივთების არსებობას, რომ თითქოს ისინი ამოიღეს ეჭვმიტანილთაგან, როგორც სამხილი. ის ფაქტი, რომ შესაბამისი ნივთები ყოველთვის აღურიცხავია და, უმეტესად, ნაპოვნია შენობის გარშემო მიმოფანტული (ზოგჯერ მოთავსებულია ფარდების ან კარადების უკან), მხოლოდ სკეპტიციზმს ბადებს ამ განმარტებათა მიმართ. იმისათვის, რომ გააქარწყლონ ვარაუდი პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ და ამოიღონ თანამშრომელთა თუ დაკავებულ პირთათვის საფრთხის პოტენციური წყარო, სამხილად გამოყენების მიზნით ამოღებული ნივთები ყოველთვის შესაბამისად უნდა აღინიშნოს, აღირიცხოს და მოთავსდეს მათ შესანახად განკუთვნილ ადგილას. ყველა სხვა საგანი, იმავე ტიპის, რაც მოხსენიებულია ზემოთ, უნდა გაიტანონ პოლიციის შენობებიდან.

40. თავისი საქმიანობის დასაბამიდან, CPT მხარს უჭერდა დაკავებულ პირთათვის პოლიციის მხრიდან უფლებათა სამეულის დაცვას: ადვოკატსა და ექიმზე ხელმისაწვდომობის უფლება და უფლება, რომ დაკავების ფაქტის შესახებ ინფორმაცია ეცნობოს ნათესავს ან ნებისმიერ მესამე მხარეს, პირის არჩევნის შესაბამისად. ბევრ სახელმწიფოში გადაიდგა ნაბიჯები ამ უფლებათა შემოღებისა ან დანერგვის მიზნით, CPT-ს რეკომენდაციების კვალად. უფრო ზუსტად, ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება საპოლიციო დაკავებისთანავე დღესდღეობით ფართოდ არის აღიარებული იმ ქვეყნებში, სადაც CPT ჩადის; იმ თითოოროლა ქვეყანაში, სადაც ეს ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა, იგეგმება მათი შემოღება.

41. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებიან CPT-ს რეკომენდაციის შესრულებას, რომ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება გარანტირებული იყოს პოლიციაში მოხვედრის მომენტიდანვე. ზოგიერთ ქვეყანაში დაკავებული პირები ამ უფლებით სარგებლობენ მხოლოდ გარკვეული პერიოდის გატარების შემდეგ; სხვა ქვეყნებში კი ეს უფლება ამოქმედდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი ფორმალურად გამოცხადდება “ეჭვმიტანილად”.

CPT–მ არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი გამოცდილების მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის მომენტის შემდეგ ყველაზე დიდია დაშინებისა და ფიზიკური არასათანადო მოპყრობის რისკი. შესაბამისად, პოლიციის განყოფილებაში წაყვანილ პირთათვის ამ პერიოდში ადვოკატზე ხელმისაწვდომობა არის ფუნდამენტური დაცვა არასათანადო მოპყრობისაგან. ამგვარი შესაძლებლობის არსებობას ექნება შემაკავებელი ეფექტი იმ პირთათვის, ვინც განიზრახავდა დაკავებული პირისადმი არასათანადო მოპყრობას; მეტიც, ადვოკატი სწორედაც რომ საჭიროა შესაბამისი ზომების მისაღებად, თუ არასათანადო მოპყრობა მართლაც განხორციელდება. CPT აღიარებს, რომ მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იყოს აუცილებელი დაკავებული პირისათვის ადვოკატზე მისივე შერჩევით ხელმისაწვდომობის გადადება საპოლიციო გამოძიების ლეგიტიმურ ინტერესთა დაცვის მიზნით. თუმცა, ამგვარ შემთხვევებს შედეგად არ უნდა მოჰყვეს ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლების შეკავება დაკითხვის მთელი პერიოდის განმავლობაში. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია სხვა დამოუკიდებელი ადვოკატის გამოყოფა.

ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება უნდა მოიცავდეს მასთან პირადად დალაპარაკების უფლებასაც. შესაბამის პირს, პრინციპში, უნდა ჰქონდეს უფლება, რომ მისი ადვოკატი ესწრებოდეს პოლიციის მიერ ჩატარებულ დაკითხვას. სინამდვილეში, ეს ხელს არ უნდა უშლიდეს პოლიციას, რომ სასწრაფო შემთხვევებში დაკითხოს თავისუფლებააღკვეთილი პირი, თუნდაც, ადვოკატის დასწრების გარეშე (რომელიც, ეგებ, არც იყოს დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი), ან უარი თქვას ადვოკატის შეცვლაზე, რომელიც ხელს უშლის დაკითხვის სათანადოდ წარმართვას.

CPT-მ ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლებით უნდა ისარგებლონ არა მარტო დანაშაულში ეჭვმიტანილმა პირებმა, არამედ მათაც, ვისი სამართლებრივი ვალდებულებაცაა ესწრებოდეს და იმყოფებოდეს პოლიციის დაწესებულებაში, მაგ., “მოწმე”.

გარდა ამისა, იმისათვის, რომ ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება მაქსიმალურად ეფექტიანად განხორციელდეს პრაქტიკაში, შესაბამისად უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი პირები, ვისაც არ შეუძლია გადაიხადოს ადვოკატისათვის.

42. საპოლიციო დაკავებისას პირებს უნდა ჰქონდეთ ექიმზე ხელმისაწვდომობის ოფიციალურად აღიარებული უფლება. სხვა სიტყვებით, ექიმი ყოველთვის დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახონ იმ შემთხვევაში, თუ პირი ითხოვს სამედიცინო შემოწმებას; პოლიციის თანამშრომლებმა თავი არ უნდა აარიდონ ამგვარ მოთხოვნას. მეტიც, ექიმზე ხელმისაწვდომობის უფლება უნდა მოიცავდეს პირის უფლებას, გაიაროს სამედიცინო შემოწმება განყოფილებაში იმ ექიმის მონაწილეობით, ვისაც ის აირჩევს, თუკი ეს მისი სურვილია (იმ სამედიცინო შემოწმების გარდა, რომელსაც პოლიციის გამოძახებული ექიმი ჩაატარებს).

პოლიციის განყოფილებაში ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება უნდა ჩატარდეს ისე, რომ მას არ უსმენდნენ სამართალდამცავი პირები და თუ შესაბამისი ექიმი სხვაგვარად არ მოითხოვს განსაკუთრებულ შემთხვევაში, არც უნდა უყურებდნენ.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ პირებს, რომლებიც გაათავისუფლეს საპოლიციო დაპატიმრებიდან მოსამართლის წინაშე წარდგენის გარეშე, ჰქონდეთ უფლება, რომ პირდაპირ მოითხოვონ სამედიცინო შემოწმება/ცნობა სასამართლოს აღიარებული სამედიცინო ექსპერტისაგან.

43. თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლება, რომ მისი დაკავების ფაქტის შესახებ ეცნობოს მესამე მხარეს, პრინციპში, გარანტირებული უნდა იყოს საპოლიციო დაპატიმრების შემდეგ ადრეულ ეტაპზევე. რასაკვირველია, CPT აღიარებს, რომ ამ უფლების გამოყენებას უნდა ახლდეს გარკვეული გამონაკლისები პოლიციის გამოძიების სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნით. თუმცა, ამგვარი გამონაკლისები შესაბამისად უნდა განიმარტოს და მკაცრად განისაზღვროს დროში, ამასთან, მასზე უარს უნდა ახლდეს შესაბამისი დაცვის გარანტიები (მაგ.: დაპატიმრების შესახებ შეტყობინების ნებისმიერი დაგვიანება წერილობითი სახით უნდა იყოს აღრიცხული და მიზეზები განმარტებული და საჭიროებდეს დასტურს პოლიციის ზემდგომი პირის ან პროკურორის მხრიდან, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ საქმესთან).

44. თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების ღირებულება იქნება უმცირესი, თუ მათ არ ეცოდინებათ მათი არსებობის შესახებ. შესაბამისად, სავალდებულოა, რომ საპოლიციო დაპატიმრებისთანავე მათ ცხადად და დაუყოვნებლივ ეცნობოთ მათი უფლებების შესახებ მათთვის გასაგებ ენაზე. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს გაკეთდა, თავისუფლებააღკვეთილ პირებს პოლიციის მხრიდან სისტემატურად უნდა გადაეცემოდეს ფორმა, რომელშიც მარტივად იქნება გადმოცემული მათი უფლებები. შემდგომში, შესაბამის პირებს უნდა ეთხოვოთ, ხელი მოაწერონ განცხადებას, რომელიც ადასტურებს, რომ მათ ეცნობათ მათი უფლებების შესახებ.

45. CPT-მ არაერთხელ აღნიშნა სასამართლოსა და პროკურატურის როლი პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის აღკვეთის საქმეში.

მაგალითად, პოლიციის მიერ თავისუფლებააღკვეთილი ყველა პირი, ვისაც შეეფარდება წინასწარი პატიმრობა, უნდა ფიზიკურად წარდგეს მოსამართლის წინაშე, რომელიც გადაწყვეტს ამ საკითხს; ჯერ კიდევ არის რამოდენიმე ქვეყანა, სადაც CPT ჩადის, რომ ეს ასე არ ხდება. მოსამართლის წინაშე წარდგენა დროებით შესაძლებლობას აძლევს დანაშაულში ეჭვმიტანილს, რომლის მიმართაც განხორციელდა არასათანადო მოპყრობა, რომ აღძრას საჩივარი. მეტიც, საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც კი, მოსამართლე შეძლებს შესაბამისი ზომების დროულად მიღებას, თუ არის არასათანადო მოპყრობის სხვა ნიშნები (მაგალითად, თვალით შესამჩნევი დაზიანებები, პირის საერთო გარეგნობა ან ქცევის მანერა).

ბუნებრივია, მოსამართლემ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, როცა არსებობს იმის ნიშნები, რომ პოლიციამ განახორციელა არასათანადო მოპყრობა. ამასთან, როცა დანაშაულში ეჭვმიტანილი წარდგება მოსამართლის წინაშე პოლიციის დაკითხვის შემდეგ არასათანადო მოპყრობაზე განაცხადით, მოსამართლემ წერილობით უნდა აღრიცხოს აღნიშნული ბრალდება, დაუყოვნებლივ მოითხოვოს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა და მიიღოს შესაბამისი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ არასათანადო მოპყრობის ბრალდება შესაბამისად იყოს გამოძიებული. ამგვარი რეაგირება ხდება იმის მიხედვით, შესაბამის პირს აქვს თუ არა ხილული დაზიანებები. მეტიც, მაშინაც კი, როცა არასათანადო მოპყრობის ნიშნები გამოხატული არ არის, მოსამართლემ უნდა მოითხოვოს სასამართლო სამედიცინო შემოწმება ყოველთვის, როცა არსებობს სხვა საფუძველი იმის სარწმუნოდ, რომ მის წინაშე წარდგენილი პირი, შესაძლოა, იყოს არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი.

სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ ნებისმიერი საჩივრის საგულდაგულო შესწავლას სასამართლო ან სხვა შესაბამისი ხელისუფლებების მიერ, საჭიროების შემთხვევაში კი სათანადო სასჯელის დაკისრებას, ექნება მძლავრი შემაკავებელი ეფექტი. საპირისპიროდ, თუ ეს ხელისუფლებები არ გადადგამენ ქმედით ნაბიჯებს მათ მიმართ წარდგენილი საჩივრების მიღებისას, სამართალდამცავები, რომლებიც განიზრახავენ პირთა არასათანადო მოპყრობას საპოლიციო დაპატიმრებისას, სწრაფად ირწმუნებენ, რომ შეუძლიათ გააკეთონ ეს ყოველგვარი სასჯელის გარეშე.

46. შესაძლოა, აუცილებელი გახდეს პოლიციის მხრიდან იმ პირთა დამატებითი დაკითხვა, ვინც წინასწარ პატიმრობაში გადაჰყავთ. CPT მიიჩნევს, რომ გაცილებით უკეთესი იქნება, თუ არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილების მიზნით, დაკითხვა ჩატარდება სასჯელაღსრულების შესაბამის დაწესებულებაში, ვიდრე პოლიციის შენობაში. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების პოლიციის განყოფილებაში დაბრუნება შემდგომი დაკითხვისათვის დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ეს აბსოლუტურად გარდაუვალია. ასევე სავალდებულოა, რომ ამგვარ გამონაკლის შემთხვევებში, როცა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირი ბრუნდება პოლიციის განყოფილებაში, მან უნდა ისარგებლოს 40-43 პარაგრაფებში მოყვანილი წესებით.

47. საპოლიციო პატიმრობაში პირი არის (ან, სულ ცოტა, უნდა იყოს) მცირე ხნით. მიუხედავად ამისა, წინასწარი დაკავების საკნებში დაკავების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს.

წინასწარი დაკავების ყველა საკანი უნდა იყოს სუფთა და შესაბამისი ზომის[1] იმ რაოდენობის ადამიანებისათვის, რომელთა განთავსებისთვისას იგი გამოიყენება, ასევე შესაბამისად განათებული (მაგ., ისე, რომ საკმარისი იყოს საკითხავად, ძილის პერიოდები არ ითვლება); უმჯობესია, თუ საკნებში იქნება ბუნებრივი სინათლე. მეტიც, საკნები აღჭურვილი უნდა იყოს დასასვენებელი საშუალებებით (მაგ., სკამით ან ძელსკამით). პირები, რომელთაც მოუწევთ ღამის გათევა პოლიციის განყოფილებაში, უნდა უზრუნველყონ სუფთა ლეიბითა და თეთრეულით. პოლიციის განყოფილებაში პირებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტუალეტი მისაღები პირობებით, ასევე დასაბანი საშუალებები. მათ მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა ჰქონდეთ დასალევი წყალი და მიეწოდებოდეთ საკვები შესაბამის დროს, მათ შორის, სულ მცირე, ერთი სრული კვება (მაგ., რაიმე უფრო ნოყიერი, ვიდრე ეს შეიძლება იყოს სენდვიჩი) ყოველდღიურად. თუ პირებს საპოლიციო პატიმრობაში ყოფნა უწევთ 24 საათს ან მეტ ხანს, შეძლებისდაგვარად ყოველდღიურად უნდა შესთავაზონ გარეთ გასეირნება.

წინასწარი დაკავების ადგილები, რომელიც მოინახულა CPT-მ არ აკმაყოფილებდა ამ მინიმალურ მოთხოვნებს. ეს განსაკუთრებით სავალალოა იმ პირთათვის, რომელთაც უწევთ სასამართლო ხელისუფლების წინაშე წარდგომა. ძალიან ხშირად პირები მოსამართლის წინაშე წარდგებიან მას შემდეგ, რაც ერთ ან მეტ ღამეს გაატარებენ ბინძურ საკანში, რომელიც სტანდარტებს არ უპასუხებს და სადაც არ აქვთ არც სათანადო მოსვენება, არც საკვები და არც დაბანის საშუალება.

48. მოვლის ვალდებულება, რაც პოლიციას აქვს მის განყოფილებაში მოთავსებულ პირთა მიმართ, მოიცავს პასუხისმგებლობას მათ უსაფრთხოებასა და ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე. ეს ნიშნავს, რომ პოლიციის განყოფილების არეების სათანადო მონიტორინგი პოლიციის მოვლის ვალდებულების შემადგენელი ნაწილია. შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირმა პოლიციის განყოფილებაში ყოველთვის შეძლოს განყოფილების თანამშრომლებთან დაკავშირება.

[1] საკნის ზომასთან დაკავშირებით, იხ. აგრეთვე მე-2 საერთო ანგარიშის პუნქტი 43 CPT/Inf (92)3)

ზოგიერთ შემთხვევაში CPT-ს დელეგაციამ აღმოაჩინა, რომ წინასწარი დაკავების საკნები საკმაოდ მოშორებულია თანამშრომელთა კაბინეტებისა ან სამუშაო ადგილებისაგან, სადაც, ჩვეულებისამებრ, ისინი იმყოფებიან. ამასთან, საკნებში არ არის კომუნიკაციის არანაირი საშუალება (მაგ., სატელეფონო სისტემა), რაც შესაძლებლობას მისცემს პირს, მიიპყროს პოლიციის თანამშრომლის ყურადღება. ამ პირობებში მნიშვნელოვანი რისკია, რომ პოლიცია რეაგირებას ვერ მოახდენს სხვადასხვა ტიპის ინციდენტზე (ძალადობა დაკავებულთა შორის, სუიციდის მცდელობა და სხვ.).

49. CPT-მ ასევე გამოხატა შიში იმ პრაქტიკის გამო, რაც შენიშნა ზოგიერთ ქვეყანაში: პოლიციაში თითოეულ ოპერატიულ დეპარტამენტს (ნარკოტიკების, ორგანიზებული დანაშაულის, ანტიტერორისტული) აქვს თავისუფლების აღკვეთის თავისი საშუალებები და ჰყავს დეპარტამენტის თანამშრომლები. კომიტეტი მიიჩნევს, რომ უარი უნდა ითქვას ამგვარ მიდგომაზე თავისუფლების აღკვეთის ცენტრალიზებული სისტემის სასარგებლოდ, რომელიც დაკომპლექტდება სპეციალურად ამ საქმისათვის გაწვრთნილი, გამორჩეული თანამშრომლებით. ეს, რასაკვირველია, წაადგება არასათანადო მოპყრობის პრევენციასაც. მეტიც, ცალკეულ ოპერატიულ დეპარტამენტთა გათავისუფლება თავისუფლების აღკვეთის ფუნქციისაგან ბევრად სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს მენეჯმენტისა და ლოჯისტიკის თვალსაზრისითაც.

50. დაბოლოს, პოლიციის დაწესებულებათა შემოწმება დამოუკიდებელი ორგანოს მხრიდან მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის საქმეში და, უფრო ზოგადად, უზრუნველყოფს თავისუფლების აღკვეთის დამაკმაყოფილებელ პირობებს. სრული ეფექტიანობისათვის, ამგვარი ორგანოს ვიზიტი უნდა იყოს როგორც რეგულარული, ასევე მოულოდნელი და შეეძლოს დაკავებულ პირებთან პირადად გასაუბრება. მეტიც, მან უნდა შეამოწმოს ყველა საკითხი, რაც ეხება განყოფილებაში ადამიანებთან მოპყრობას: თავისუფლების აღკვეთის შემთხვევების აღრიცხვა, თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის ინფორმაციის მიწოდება მათი უფლებების შესახებ და ამ უფლებათა რეალურად გამოყენება (კერძოდ, 40-43 პარაგრაფებში დასახელებული უფლებები); იმ წესებთან შესაბამისობა, რომლებიც არეგულირებს ეჭვმიტანილთა დაკითხვას და თავისუფლების აღკვეთის მატერიალურ პირობებს.

ზემოაღნიშნული ორგანოს აღმოჩენები უნდა გადაეგზავნოს არა მხოლოდ პოლიციას, არამედ აგრეთვე სხვა ხელისუფლებას, რომელიც დამოუკიდებელია პოლიციისაგან.